ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1995840

ნომერი: AR1322205

თარიღი : 30.06.2015

გაცემის თარიღი : 06.07.2015

გაცნობის თარიღი : 07.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 140 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კაპანაძე პ/ნ 01008023112
- თბილისი გ.შატბერაშვილის ქ. N 2 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: საპროექტო ადგილიდან გამომდინარე, რომელიც განთავსებული ქალაქგეგმარებით კარკასზე სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა/ნაგებობებს და მასზე განთავსებულ ყოველ კონკრეტულ დეტალს, წარმოდგენილი სახით "პერგოლის" მოწყობა სამსახურს კვლავ არ მიაჩნია მიზანშეწონილად, არსებულ ფასადთან მისადაგებული მსუბუქი კონსტრუქციით – ტენტით ან კარბოლუქსით გადახურული საჩრდილობელი მოეწყოს ბაქანზე საყრდენი ბოძების გარეშე, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განახლებული ფოტომონტაჟი ზომებისა და მასალის მითითბით აიტვიორთოს"ფოტომონტაჟი"-ს ველში, ასევე გასათვალისწინებელი და წარმოსადგენია შემდეგი:

– გაურკვეველია თქვენი – მოქ. ირაკლი კაპანაძის უფლებამოსილების საკითხი, წარმოადგინეთ უფლებამოსილების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

– ველებიდან ამოშალეთ პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო ფონდი "იავნანა"-ს მიერ გაცემული მინდობილობა სარეკლამო აბრის განთავსებასთან დაკავშირებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.